

შარლ დე სენ-ჟულიენი, „წარმტაცი მოგზაურობა რუსეთში, გაგრძელებული ციმბირში მოგზაურობით“

Charles de Saint-Julien, Voyage pittoresque en Russie, suivi d'un voyage et en Sibérie par M. R. Bourdier. Illustrations de MM. Rouatgue, Outwaith et Kernot. Paris, Belin-Leprieur et Morizot, Editeurs, 1854

La ville est au fond d'une vallée étroite, dominée par une haute montagne où se trouve la forteresse, d'ailleurs entourée de rochers et baignée par le Kour, fleuve rapide, qui selon mon savant géorgien, n'est autre chose que le Cyrus des anciens; or, le Cyrus, fort resserré ici, sépare la ville du faubourg d'Avlabar, situé sur la montagne escarpée de la rive gauche, en face même de la ville. Quant aux habitants de cette dernière, vous allez vous imaginer tout naturellement qu'ils se composent de Géorgiens: vous êtes simple, monsieur. La vieille capitale de la Géorgie a bien quelques Géorgiens sans doute dans ses murs, mais elle est aussi habitée par des Arméniens, des Mingréliens, des Persans, des Tatars et des Lesghiens, et tout cela peut bien faire un total de vingt mille âmes. Puis viennent les employés du gouvernement russe, puis la garnison, ce qui peut porter le tout à vingt-cinq mille habitants... Si je me trompe, vous me pardonnerez; je ne parle que d'après les autres. (403)

ქალაქი მდებარეობს ვიწრო ხეობის ძირში; მას დაჰყურებს მაღალი მთა, რომელზეც ციხესიმაგრე მდებარეობს; ის კლდეებითაა გარშემორტყმული და მას სწრაფი მდინარე მტკვარი ჩამოუდის, რომელიც ჩემი განსწავლული ქართველის თანახმად, ძველი ავტორების კიროსია; ამ ადგილზე ის ძლიერ შევიწროებულია და ქალაქს ავლაბრის გარეუბნისგან გამოყოფს, რომელიც მის პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ციცაბო მთაზე მდებარეობს. რაც შეეხება მის მოსახლეობას, თქვენ, ბუნებრივია წარმოიდგენთ, რომ ის ქართველებისგან შედგება: თქვენ მიამიტი ხართ, ბატონო. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს ძველი დედაქალაქის კედლებში ქართველებიც ცხოვრობენ, მაგრამ იქ აგრეთვე არიან სომხები, მეგრელები, სპარსელები, თათრები, ლეკები და ყველა ერთად ჯამში 20,000 სულია. შემდეგ მოდიან რუსეთის მთავრობის მოხელეები და გარნიზონი, რაც ერთად დაახლოებით 25,000 სულია... თუ ვცდები, მაპატიეთ, მე მხოლოდ სხვების ნათქვამს ვიმეორებ.

Quant à la société, vous comprenez qu'elle reste peu dans la ville pendant la saison des chaleurs. Elle habite des maisons de plaisance dans les montagnes; mais l'hiver, elle se réunit, et alors, monsieur, on pourrait se croire à Paris... L'hôtel de madame (404) la princesse V... réunit tout ce qu'il y a de Russes comme il faut à Tiflis. Les salons de cette princesse peuvent être comparés aux plus élégants salons de votre noble faubourg. L'hiver dernier, nous possédions une délicieuse réunion de charmantes et aimables princesses de Saint-Pétersbourg et de Moscou; le comte Solohoub, le poète, avec sa délicieuse femme madame d'E..., d'origine française et qu'on dirait être née dans quelque sierra castillane, belle, spirituelle, un peu artiste et adorable en tout point. Nos réunions ne se sentent donc pas du milieu dans lequel nous sommes placés, mais elles sont des plus charmantes. Nous avons ici musique, opéra, bals, concerts, soirées, dîners, piqueniques. Que sais-je? les jours manquent aux plaisirs, et nous nous dédommageons de notre éloignement en nous amusant le plus que nous pouvons. (405)

რაც შეეხება საზოგადოებას, ალბათ ხვდებით, რომ ამ ზაფხულში ქალაქში თითქმის არავინ რჩება; ის მთებში, სააგარაკო სახლებში ისვენებს; ზამთარში საზოგადოება იკრიბება და მაშინ, ბატონო, თავი პარიზში გეგონება... ტფილისში მყოფი *კომილფორ*<sup>1</sup> რუსები, მაღამ პრინცესა V...-ს<sup>2</sup> სასახლეში იკრიბებიან. ამ პრინცესას სალონები შეიძლება თქვენი პრესტიჟული გარეუბნის ყველაზე ელეგანტურ სალონებს შედარდეს. გასულ ზამთარს ჩვენ შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა სანკტ-პეტერბურგელ და მოსკოველ მომხიბლავ და თავაზიან პრინცესებთან, პოეტ გრაფ სოლოგუბთან<sup>3</sup> და მის მშვენიერ ცოლთან, წარმოშობით ფრანგ მაღამ დ'ე...-თან და რომელზეც იფიქრებდი, რომ კასტილიის რომელიღაც მთიანეთში დაიბადა; ის ლამაზი, მახვილგონიერი, ოდნავ არტისტული და ყველა თვალსაზრისით მიმზიდველია. ამიტომ ჩვენი შეხვედრების დროს არ იგრძნობა ის გარემო, რომელშიც ვიმყოფებით, ისინი ძალიან მომხიბლავია. ჩვენ აქ გვაქვს მუსიკა, ოპერა, მეჯლისები, კონცერტები, წვეულებები, ვახშმები, პიკნიკები. კიდევ რა? დღეები არ გვყოფნის და ჩვენ სიშორის შესავსებად რაც შეიძლება ბევრს ვერთობით.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)

---

<sup>1</sup> *კომილფორ*-ს (ფრ. *comme il faut*) იტყოდნენ იმაზე, რაც შეესაბამება ე. წ. "მაღალ საზოგადოებაში" მიღებულ წესებს.

<sup>2</sup> იგულისხმება ელიზავეტა ბრანიცკა (1792-1880), 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მეუღლე.

<sup>3</sup> ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი (1813-1882) – რუსი მოხელე, პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი და მემუარისტი, 1840 წელს დაქორწინდა სოფიო ვიელგორსკაიაზე (1829-1878), რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეუღლის, ალექსანდრა ფიოდოროვნას, ფრეილინა იყო. ამიტომ გაუგებარია ვინ იგულისხმებოდა მის ცოლად წარმოდგენილ მაღამ დ'ე-ში.

ვლადიმერ სოლოგუბი თბილისში 1851 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა. 1852 წელს მას მიანიჭეს „სტატსკი სოვეტნიკის“ (მე-5 კლასის სამოქალაქო ჩინი ძველ რუსეთში) წოდება. თბილისში ყოფნის დროს მან ჩამოაყალიბა რუსული თეატრი, აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ «Кавказ»-თან, იყო პირველი ქართული თეატრის დირექტორი, მანვე დაწერა პირველი წერილი ამ თეატრის, მისი შენობის, ინტერიერისა და სეზონის გახსნის შესახებ («Кавказ», 1851, N29).